სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

10 აგვისტო 2026

N 21/11672

შპს „გოლდენ ბლუ 1"-ის დირექტორს
ქალბატონ ეთერ გადაბაძეს

მის: ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟაფშაველას გამზ., №76 ბ, ბ. №35
ელფოსტა: melkadzesandro@gmail.com
kristi@greensteps.ge

ქალბატონო ეთერ,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 21 ივლისს №11038 წერილით წარმოდგენილი საქმიანობის – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუბისწყალში სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება და გაცნობებთ შემდეგს:

ა) სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ shp-ფაილში ასახული არ არის საპროექტო ტერიტორიაზე 2024 წელს მოწყობილი სამელიორაციო სისტემა (ხაზობრივი ნაგებობა), კერძოდ, საირიგაციო მიწის ნაკვეთების (ს/კ: 29.07.34.488; 29.07.31.034; 29.07.31.038; 29.07.34.490; 29.07.31.035; 29.07.31.346; 29.07.34.023; 29.07.34.489; 29.07.34.491; 29.07.31.037; 29.07.34.024; 29.07.31.345) დამაკავშირებელი მილსადენები. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ shp-ფაილში, საირიგაციო მიწის ნაკვეთებთან ერთად, სრულყოფილად უნდა იქნას წარმოდგენილი არსებული და საპროექტო სამელიორაციო სისტემის (ხაზობრივი ნაგებობა) დერეფანი, ასევე საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტი (ფერტიგაციის სადგურები, წყლის სამარაგო რეზერვუარები, ჭაბურღილი, სატუმბი დანადგარები და სხვა). სკრინინგის განცხადებაში ასევე მოცემული უნდა იქნას ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ადგილების GPS კოორდინატები. ამასთან, ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები წარმოდგენილი უნდა იყოს UTM WGS 84 სისტემით.

ბ) სკრინინგის განცხადების ტექსტურ ნაწილში სრულად უნდა იყოს აღწერილი არსებული და საპროექტო სამელიორაციო სისტემა და მოცემული უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია აღნიშნული სისტემის შემადგენელი ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტის შესახებ (მათ შორის, საირიგაციო მიწის ნაკვეთების მილსადენების დიამეტრები და სიგრძეები, სატუმბი დანადგარების რაოდენობა და წარმადობა, წყალშემკრები რეზერვუარების რაოდენობა და მოცულობა და სხვა). ამასთან, სკრინინგის განცხადებაში გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედებები აღწერილი და შეფასებული უნდა იქნას ერთობლივად, როგორც არსებული ისე საპროექტო სამელიორაციო სისტემის გათვალისწინებით.

გ) სკრინინგის განცხადებით ვერ დგინდება არსებული და საპროექტო სამელიორაციო სისტემის და მათი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების ფუნქციური ან/და ტექნიკური ურთიერთკავშირი, რაც საჭიროებს განმარტებას და სკრინინგის განცხადებაში სათანადოდ ასახვას.

დ) სკრინინგის განცხადებით ვერ დგინდება საირიგაციო მიწის ნაკვეთების მორწყვა განხორციელდება მხოლოდ ზედაპირული წყლის ობიექტიდან ამოღებული, თუ ასევე არსებული ჭაბურღილიდან მოპოვებული წყლით. ამასთან, თუ საირიგაციო მიწის ნაკვეთების მორწყვა დაგეგმილია როგორც ჭაბურღილიდან, ისე ზედაპირული წყლის ობიექტიდან ამოღებული წყლით, დასაზუსტებელია კონკრეტულად რომელი საირიგაციო მიწის ნაკვეთების მოსარწყავად იქნება გამოყენებული თითოეული წყალაღების წყარო. აგრეთვე, დასაბუთებას საჭიროებს ზედაპირული წყლის ობიექტიდან ამოსაღები წყლის მოცულობის შესაბამისობა საირიგაციო მიწის ნაკვეთებთან მიმართებით. კერძოდ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქმიანობის და არსებული/გასაშენებელი კულტურების ჯამური რაოდენობის გათვალისწინებით, განმარტებას და შესაბამის გაანგარიშებას საჭიროებს მოხმარებული წყლის რაოდენობა.

ე) სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „კვლევის არეალი მოიცავდა მთლიან საპროექტო ტერიტორიას, წყალაღების წერტილიდან საპროექტო რეზერვუარამდე“, ხოლო ილუსტრაცია №4-ზე წარმოდგენილი საველე კვლევის მონაცემებში მითითებული ტბორის ბაყაყის *Pelophylax ridibundus* და ჭაობის კუს *Emys orbicularis* გავრცელების GPS კოორდინატები საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 8 კილომეტრით. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიაზე აღნიშნული სახეობების არსებობის საკითხი.

ვ) სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს მდინარიდან წყალაღებასა და სარწყავი სისტემის მოწყობას, რომელიც არ მოიცავს მაღალი კონსტრუქციების, ელექტროგადამცემი ხაზების ან სხვა ისეთი ინფრასტრუქტურის განთავსებას, რომელიც ფრინველებისთვის პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს. შესაბამისად, პროექტის განხორციელება არ ქმნის ფრინველებთან შეჯახების ან ელექტროდენით დაზიანების რისკს“. ამასთან, სკრინინგის განცხადების ზოგიერთ თავში განხილულია ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი და მისი მშენებლობის პერიოდში ორნითოფაუნაზე და ძუძუმწოვრებზე ზემოქმედება, რაც სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის. შესაბამისად, მითითებული საკითხები საჭიროებს განმარტებას/დაზუსტებას.

ზ) სკრინინგის განცხადებაში გვხვდება ურთიერთსაპირისპირო ჩანაწერები, კერძოდ, ერთი მხრივ, მითითებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში, თევზების გამრავლების პერიოდში წყალაღება არ განხორციელდება, ხოლო მეორე მხრივ, წყალაღების ყველაზე დიდი მაჩვენებელი სწორედ რომ თევზის გამრავლების პერიოდს ემთხვევა. შესაბამისად, მითითებული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას და ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას.

თ) სკრინინგის განცხადებაში არ არის აღწერილი, არსებობს თუ არა წყალაღების წერტილის მიმდებარედ თევზის სატოფე ადგილები. ასევე, დოკუმენტში არ არის მითითებული, გათვალისწინებულია თუ არა თევზისთვის სამელიორაციო სისტემაში მოხვედრის პრევენციისთვის, თევზამრიდი ნაგებობა (მაგალითად, შესაბამისი თვალის ზომის მქონე ბადის ან ცხაურის). შესაბამისად, მითითებული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას და სკრინინგის განცხადებაში სათანადოდ ასახვას.

ი) სსიპ ეროვნული სატყეოს სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, სკრინინგის განცხადებაზე თანდართული shp-ფაილით წარმოდგენილი მთლიანი 287 604 $მ^2$ ფართობიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299

დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 1 $მ^2$ მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე (წყალტუბო-ქუთაისის სატყეო უბანი, ცხუნკურის სატყეო, ყოფილი საკოლმეურნეო ტყე). ამასთან, shp-ფაილით წარმოდგენილი ხაზობრივი ნაგებობის (საირიგაციო მილი) 1 128 გრძივი მეტრიდან 122 გრძივი მეტრი ასევე მდებარეობს სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე (წყალტუბო-ქუთაისის სატყეო უბანი, ცხუნკურის სატყეო, ყოფილი საკოლმეურნეო ტყე). აქვე გაცნობებთ რომ, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებასა და სკრინინგის განცხადებაში სათანადოდ ასახვას (გაურკვეველია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ტყით სპეციალური სარგებლობის უფლობის მოპოვება, თუ ტყის სტატუსის შეწყვეტა, ასევე აღწერასა და შეფასებას საჭიროებს სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე გათვალისწინებული სამუშაოებით ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედებები, მათ შორის, მცენარეული საფარის ჭრის საკითხი). ამასთან, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე 2024 წელს მოწყობილი სამელიორაციო სისტემა სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ shp-ფაილში ასახული არ არის, ასევე დასაზუსტებელია არსებული სამელიორაციო სისტემის სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მოწყობისა და სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან საკითხი.

კ) სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ გარემოს ხმაურით დაბინძურებას ადგილი ექნება მხოლოდ მშენებლობის ეტაპზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შედეგად. დოკუმენტში ასევე მოცემული უნდა იქნას სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის შესახებ ინფორმაცია, არსებული/საპროექტო ხმაურწარმომქმნელი წყაროების (მაგ. ტუმბოები) გათვალისწინებით.

ლ) სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული არსებული სარწყავი ინფრასტრუქტურის ეფექტიანი გამოყენება, მნიშვნელოვნად ამცირებს დამატებითი სამშენებლო სამუშაოების მოცულობას და გარემოზე ზემოქმედებას“. აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია და საჭიროებს განმარტებას, განსაკუთრებით იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ არსებულ სამელიორაციო სისტემაზე სააგენტოს მიერ სკრინინგის გადაწყვეტილება გაცემული არ არის.

მ) სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო სამელიორაციო სისტემის მოწყობისთვის დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე ხე-მცენარეების მოჭრის საკითხი და ასეთის შემთხვევაში, მოსაჭრელი ხე-მცენარეების სახეობები და რაოდენობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხების დაზუსტებამდე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის 5^1 ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

დანართი: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს წერილი და დანართი №1.

პატივისცემით,

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/11672-21-2-202608101454

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE